პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ა(ა)იპ „მეთამაშე“-სთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლესუბანში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლესუბანში მდებარე, [redacted] საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული (ადმინისტრაციული შენობა) 111.06 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,მეთამაშე“-სათვის (ს/კ [redacted]) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე